Brot für die Welt

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

სამოქალაქო სივრცის მიმოხილვა საქართველოში

აგვისტო 2024 - ოქტომბერი 2024
IV გამოშვება

ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება
დემოკრატიის განვითარებისთვის საქართველოში

Strong and resilient civil society
serving to democratic development in Georgia

სამოქალაქო სივრცის მიმოხილვა საქართველოში

აგვისტო 2024 - ოქტომბერი 2024
IV გამოშვება

ავტორი: ზურაბ მენაღარიშვილი
სამუშაო ჯგუფი:
ვაჟა სალამაძე, ია გაბუნია, ლევან ფანიაშვილი, ნინა ფიჩხაია, ლალი შალვაშვილი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

Brot für die Welt

ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება
დემოკრატიის განვითარებისთვის საქართველოში

ეს დოკუმენტი შექმნილია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ორგანიზაცია „პური მსოფლიოს“ (BftW) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და შესაძლოა არ გამოხატავდეს ორგანიზაცია „პური მსოფლიოს“ (BftW)-ის შეხედულებებს.

თბილისი 2024 © CSI

სამოქალაქო სივრცის მიმოხილვა საქართველოში

აგვისტო 2024 - ოქტომბერი 2024

IV გამოშვება

სარჩევი

მოკლე შეჯამება 2

მეთოდოლოგია 3

„რუსული კანონის“ ამოქმედება - ნორმატიული აქტები და სარეგისტრაციო პროცესი 4

ჯარიმების მოლოდინში 6

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „რუსულ კანონზე“ 7

დავა სტრასბურგში 8

დისკრიმინაციული კანონმდებლობა 11

OGP-ში საქართველოს წევრობის შეჩერება 13

აფგან სადიგოვის საქმე 14

სსო-თა დაფინანსების სამთავრობო ინიციატივა 16

სანქციები და დასავლეთთან ურთიერთობების უკიდურესი გაუარესება 17

სადამკვირვებლო ორგანიზაციების დისკრედიტაციის კამპანია 20

„ომისა და მშვიდობის კამპანია“ 22

არჩევნების შედეგები და რეაქციები 23

ჩხრეკა დეზინფორმაციის მკვლევრების სახლებში 26

მოკლე შეჯამება

ქვეყანაში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის, იგივე „რუსული კანონის“ სახელით ცნობილი კანონის ამოქმედებამ მნიშვნელოვნად დააზიანა სამოქალაქო სივრცე და შეზღუდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემო. სამოქალაქო საზოგადოების ის ორგანიზაციები, რომლებიც კანონის რეპრესიული შინაარსი გამო არ აპირებენ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში დარეგისტრირებას, სოლიდური ჯარიმების გამოწერის საფრთხის წინაშე დგანან, რაც ორგანიზაციათა დიდი ნაწილის შემთხვევაში მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს შექმნის, რამაც, შესაძლოა, სრულიად შეუძლებელი გახადოს მუშაობის გაგრძელება.

მეორე მხრივ, „რუსული კანონის“ აღსრულებისთვის საჭირო მკაცრი და რთულად დასაკმაყოფილებელი მოთხოვნები დამაზიანებელი აღმოჩნდა იმ ორგანიზაციებისთვისაც, რომლებმაც ამგვარ რეესტრში რეგისტრაციის გადაწყვეტილება მიიღეს.

საანგარიშო პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოზე ერთგვარი ნეგატიური გავლენა ჰქონდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, „რუსული კანონის“ მოქმედება არ შეჩერდება. გამომდინარე აქედან, სამოქალაქო საზოგადოებაზე კანონის ნეგატიური ზეგავლენა გრძელდება.

სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებისთვის სივრცის გაქრობის მაგალითია საქართველოსთვის ღია მმართველობის პარტნიორობის ფორმატში წევრობის შეჩერებაც. აღნიშნული ფაქტი უარყოფითად აისახება არამხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოზე, არამედ საერთაშორისო დონეზე ქვეყნისადმი არსებულ აღქმებზე.

სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოს გაურესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მმართველი გუნდის მიერ მიღებული დისკრიმინაციული კანონმდებლობაც, რომელიც ლგბტქ+ თემის საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის, „რუსულ კანონთან“ ერთად, მუშაობის გაგრძელების კუთხით კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

აზერბაიჯანში დევნილი ჟურნალისტის, აფგან სადიგოვის დაკავება, რომელიც, შესაძლოა მისი სამშობლოში ექსტრადიციით დასრულდეს, წარმოადგენს სამოქალაქო სივრცის გაუარესების ცხად სიგნალს ქვეყანაში მყოფი უცხოელი ჟურნალისტებისთვის, ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც საკუთარ საქმიანობას საქართველოდან ახორციელებდნენ.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის სადამკვირვებლო ორგანიზაციების დისკრედიტაციის კამპანიები, ასევე პოლიტიკური ოპონენტების დევნის დაპირება, რომელიც საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გასცა მმართველმა გუნდმა და პრეზიდენტისა და ოპოზიციური პარტიების მიერ არჩევნების შედეგებისადმი უნდობლობა კიდევ უფრო მეტად ზრდის პოლიტიკური პოლარიზაციისა და დაძაბულობის რისკებს, რაც ასევე უარყოფითად აისახება სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოზე.

დასავლეთთან დაპირისპირება, ევროინტეგრაციის პროცესის ფაქტობრივი შეჩერება და საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებული კითხვების არსებობა ქვეყანას იზოლაციის საფრთხის წინაშე აყენებს.

მეთოდოლოგია

„სამოქალაქო სივრცის მიმოხილვა“ არის არსებული მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგისა და ანალიზის ინსტრუმენტი, რომელიც ქვეყანაში არსებულ დე-იურე რეალობასთან ერთად, ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმდინარე ტენდენციებზე, ოფიციალური პირებისგან მომდინარე რიტორიკისა და სამომავლოდ მოსალოდნელ გამოწვევებზე. მიმოხილვას ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) გერმანული ფონდის „პური მსოფლიოსთვის“ მხარდაჭერით, პროექტის, „ძლიერი და მედეგი სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში დემოკრატიული განვითარებისთვის“ ფარგლებში. მიმოხილვის საანგარიშო პერიოდი, როგორც წესი, მოიცავს სამთვიან პერიოდს და აანალიზებს ამ დროის განმავლობაში მომხდარ და მიმდინარე ფაქტებსა და ტენდენციებს შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

- სამოქალაქო სივრცისა თუ ამ სივრცის ცალკეული აქტორების მუშაობის შეფერხება და საქმიანობაში ხელშეშლა;
- მტრული რიტორიკა და დისკრედიტაციის კამპანიები;
- ფინანსური სტაბილურობა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;
- სივრცე სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისთვის:
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან ადვოკატირებისა და მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა.

გარდა აღნიშნული მიმართულებებისა, ასევე შესაძლებელია, რომ მიმოხილვა მოიცავდეს სხვა იმ დროისთვის აქტუალურ საკითხს, რომლის გაერთიანებაც წინასწარ განსაზღვრულ მიმართულებებში შეუძლებელია.

მიმოხილვა გულისხმობს თითოეული მნიშვნელოვანი საკითხისა და მოვლენის ირგვლივ მონიტორინგსა და სიღრმისეულ თვისებრივ ანალიზს. გამომდინარე აქედან, იგი ატარებს როგორც დესკრიფციულ, ასევე ამხსნელობით ხასიათს.

მიმოხილვის მომზადებისას დაკვირვების საგანს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობა და ნაგულისხმევია ისეთი ცვლადებისა და ინდიკატორების ანალიზი, როგორიცაა სახელმწიფოს მხრიდან დამკვიდრებული ემპირიული პრაქტიკები, რომლებიც გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოზე, საკანონმდებლო ინიციატივები და იურიდიული ძალის მქონე სხვა დოკუმენტები, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებებისა და მმართველი პარტი(ებ)ის წარმომადგენლების საჯარო განცხადებები და შეფასებები და მედიაში გავრცელებული ინფორმაცია.

მონიტორინგის პროცესის განმავლობაში პროექტის გუნდი ასევე აანალიზებს მეორეულ წყაროებს, მათ შორის ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ კვლევებს, ანგარიშებსა და შეფასებებს.

მონაცემთა შეგროვებისას, კონკრეტული საკითხის მნიშვნელობიდან და სენსიტიურობიდან გამომდინარე შესაძლებელია დამატებითი კვლევის წარმოება თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, მათ შორის კონკრეტულ მიზნობრივ შერჩევასთან სიღრმისეული ინტერვიუებისა და რამდენიმე ფოკუს-ჯგუფების ჩატარების გზით. აღნიშნული გამოცემის მომზადებისას, ჩატარდა და გაანალიზდა დამატებით ორი ფოკუს-ჯგუფი და ორი სიღრმისეული ინტერვიუ. საერთო ჯამში ფოკუს-ჯგუფებსა და ინტერვიუებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 20-მა წარმომადგენელმა მიიღო.

მიმოხილვა გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე და გათვლილია ადგილობრივ და საერთაშორისო აუდიტორიაზე. დოკუმენტი ვრცელდება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ყველა საკომუნიკაციო არხით, მათ შორის CSOGeorgia.org-ის გამოყენებით და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

„რუსული კანონის“ ამოქმედება - ნორმატიული აქტები და სარეგისტრაციო პროცესი

2024 წლის ზაფხულში, მას შემდეგ რაც მმართველმა გუნდმა საბოლოოდ მიიღო და გამოაქვეყნა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, ე.წ. „რუსული კანონი“, იუსტიციის სამინისტრომ კანონის პრაქტიკაში აღსასრულებლად საჭირო ნორმატიული აქტები მიიღო, მათ შორის 2024 წლის 1 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება[1], რომელიც განსაზღვრავს კანონის ფარგლებში შექმნილი რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესებს. მანამდე, 29 ივლისს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა ახალი ერთეული, ფინანსური დეკლარირების დეპარტამენტი, რომელსაც, სხვა უფლება მოვალეობებთან ერთად, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის“ წარმოება დაევალა[2].

იუსტიციის მინისტრის მიერ პირველ აგვისტოს გამოცემული ნორმატიული აქტით განსაზღვრული საფინანსო დეკლარაცია, რომელიც ორგანიზაციებს უნდა წარედგინათ, სხვა ვალდებულებებთან ერთად, ასევე ითხოვდა დეტალურ საიდენტიფიკაციო მონაცემებს ორგანიზაციასთან ურთიერთობაში მყოფი ყველა ფიზიკური პირის შესახებ, რომელთა

[1] საკანონმდებლო მაცნე. 2024. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №1016. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6234258?publication=0

[2] საკანონმდებლო მაცნე. 2024. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №1019. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6238278?publication=0

მიმართაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რაიმე ხარჯი გაწეულა[3]. საგულისხმოა, რომ იგივე ეხება დამფინანსებელ ფიზიკურ პირებსაც. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება 2023 წლის მონაცემებზეც, რომელთა ახალი წესით შეგროვებაც ორგანიზაციათა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის დიდ სირთულეებს წარმოადგენდა, რადგან აღნიშნული ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, გამომდინარე ამ ინფორმაციის ოდენობისა და სენსიტიურობისა, ასევე დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსის მობილიზების საჭიროებას აჩენს. ბევრი, განსაკუთრებით მცირე და ადგილობრივ დონეზე მომუშავე ორგანიზაციის შემთხვევაში, ამან შეიძლება მუშაობის ფაქტობრივი პარალიზება გამოიწვიოს.

აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ მსგავსი დეტალიზაციის ინფორმაციის მოძიებამ, შესაძლოა, გააჩინოს ბენეფიციარებში პროცესისადმი უნდობლობა, რაც განსაკუთრებით დამაზიანებელი იქნება მომსახურების მიმწოდებელი და მოწყვლადი საზოგადოებრივი ჯგუფების თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს ამ ორგანიზაციებს მუშაობაში.

საყურადღებოა ისიც, რომ ორგანიზაციებს ნორმატიული აქტის გამოქვეყნების შემდეგ დაახლოებით თვე-ნახევარი ჰქონდათ დეკლარაციის მომზადებისა და წარდგენისთვის, რადგან „რუსული კანონი“ ერთთვიან ვადას აძლევს ორგანიზაციებს, რათა მათ მატერიალური ფორმით წარადგინონ წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის შესახებ, ხოლო ამის შემდეგ, 2 დღის ვადაში ორგანიზაცია დაიშვება „სათანადო ვებ-გვერდზე“, სადაც მან 10 სამუშაო დღეში უნდა შეავსოს განაცხადი, რაც ამავდროულად არის საფინანსო დეკლარაცია.

გამომდინარე აქედან, ინფორმაციის შეგროვებისა და დახარისხებისთვის და სახელმწიფოსთვის წარსადგენად, გამოყოფილი ვადები პრაქტიკულად ძალიან ხანმოკლეა. შემჭიდროვებული ვადები დამატებით ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ორგანიზაციებისთვის და უარყოფითად აისახება მათ მუშაობაზე. გარდა ამისა, აღნიშნული შეზღუდვები მიუთითებს, რომ კანონის ამოქმედების მიზანს არა ორგანიზაციათა გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, არამედ მათი მუშაობის შეფერხება შეიძლება წარმოადგენდეს.

საბოლოოდ, აღნიშნული მოთხოვნები, მათ შორის არსებული და სამომავლო სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებასთან, ასევე შემჭიდროვებული ვადები, რომელშიც უნდა მომხდარიყო საფინანსო დეკლარაციის წარდგენა, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო სივრცის იმ აქტორების მუშაობაზეც, რომლებმაც მიიღეს რეგისტრაციის გადაწყვეტილება, ან სახელმწიფოს მიერ მათი შესაძლო რეგისტრაციის შემდეგ ფინანსური დეკლარაციის წარდგენას გეგმავენ.

---

[3] 20 სექტემბერს ცვლილებები შევიდა დეკლარაციის ფორმაში, სადაც, ხარჯების გაწევის ნაწილში ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების გარკვეული ნაწილი აღარ აისახება, მათ შორის თანხის მიმღები პირის პირადი ნომერი და საბანკო ანგარიშის ნომერი. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის განხორციელების დროს რეესტრს მაინც აქვს განუსაზღვრელი რაოდენობის პერსონალური მონაცემების მოთხოვნის უფლება.

აღნიშნულ სირთულეებზე ამახვილებენ ყურადღებას საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებიც.

„დეკლარაციის შევსება ძალიან ძნელი პროცესია. ცოტა ორაზროვანი ფორმებია, ბოლომდე ვერ მიხვდები, თუ რას ითხოვენ. დეკლარაციის შევსების გამოცდილება არავის არ გვქონდა, ამიტომ ჩვენი ორგანიზაციისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა“ – პირდაპირი ინტერვიუს დროს განაცხადა მომსახურების გამცემი ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომლის განცხადებითაც ორგანიზაციამ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის „მძიმე“ გადაწყვეტილება საკუთარი ბენეფიციარების საუკეთესო ინტერესის დაცვის მოტივით მიიღო. მისივე განცხადებით, დეკლარაციის შევსების მომენტში, ერთგვარი „დახმარებისა“ და დამატებითი ინსტრუქციების მიცემის მოტივით, „ყოველდღიურად“ უკავშირდებოდა საჯარო რეესტრის წარმომადგენელი, რომელიც მას, ასევე, „მოსალოდნელი ჯარიმების შესახებ აფრთხილებდა“, რაც ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის დამატებით ზეწოლას წარმოადგენდა. საჯარო რეესტრის მხრიდან დეკლარაციის შევსების მომენტში კომუნიკაცია დადასტურდა სხვა რესპოდენტის შემთხვევაშიც.

აღნიშნული სირთულეები კიდევ უფრო მეტად აუარესებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემოს და ართულებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან ადვოკატირებისა და მომსახურების მიწოდების შესაძლებლობას.

ჯარიმების მოლოდინში

სექტემბრის თვის დასაწყისში ამოიწურა კანონით განსაზღვრული ის ვადა, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებდნენ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის კრიტერიუმებს, სპეციალურ რეესტრში მოსახვედრად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის უნდა მიემართათ.

ასეთი მოთხოვნით სახელმწიფოს 476-მა ორგანიზაციამ მიმართა[4]. საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, საჯარო რეესტრში დაახლოებით 350-მდე ორგანიზაციის დეკლარაციის ხილვა იყო შესაძლებელი. გამომდინარე იქედან, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უდიდესი ნაწილისთვის „რუსული კანონი“ არაკონსტიტუციურია, მათმა უმეტესობამ, ამგვარი რეგისტრაცია დათქმულ ვადებში არ გაიარა.

რუსული კანონის თანახმად, რეგისტრაციის თავის არიდების გამო სუბიექტს 25,000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრება და მაინც ვალდებული იქნება 10 სამუშაო დღის ვადაში საჯარო რეესტრს წარუდგინოს განაცხადი/საფინანსო დეკლარაცია.

ამ უკანასკნელის წარუდგენლობის შემთხვევაში, სუბიექტს დამატებით დაეკისრება ჯარიმა 10,000 ლარის ოდენობით. ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ყოველი შემდგომი ერთი თვის განმავლობაში განაცხადის/საფინანსო დეკლარაციის წარუდგენლობა დამატებით კიდეც 20,000 ლარიან ჯარიმას გამოიწვევს.

---

[4] Civil.ge. 2024. „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონით დადგენილი ვადის ამოწურვისას 476 სსო დარეგისტრირდა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/622387

სამოქალაქო სივრცის მიმოხილვის მეოთხე გამოცემის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან, აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მათ წინააღმდეგ სახელმწიფო ჯარიმების გამოწერის გადაწყვეტილებას მიიღებს, რიგ შემთხვევაში ისინი მიმართავენ თანხის მობილიზების საჯარო კამპანიებს, ან იმუშავებენ საგანგებო შემთხვევებისთვის გრანტების *(Emergency Grants)* მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ დონეზე მომუშავე და მცირე ორგანიზაციების შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად დგას დაჯარიმების შემთხვევაში ფინანსების მობილიზების საკითხი, რამაც შესაძლოა, დიდი ალბათობით, ამ ორგანიზაციათა მუშაობის შეჩერებაც კი გამოიწვიოს.

„რუსული კანონით“ გათვალისწინებული დაუსაბუთებლად მაღალი ჯარიმები ქმნის კიდევ უფრო მტრულ გარემოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის და საფრთხეს უქმნის მათ ფინანსურ სტაბილურობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „რუსულ კანონზე“

29 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლომ „რუსული კანონის“ წინააღმდეგ მიღებული სარჩელების განმწესრიგებელი სხდომა დაიწყო[5]. სასამართლომ პრეზიდენტის[6], 121 სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციის[7], ოპოზიციონერი დეპუტატებისა[8] და ორი ჟურნალისტის სარჩელები გააერთიანა.

საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეების მოთხოვნა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე „რუსული კანონის“ მოქმედების შეჩერებაზე. მიზეზი დასახელდა ის, რომ სასამართლოს თანახმად, კანონის მოქმედებას გამოუსწორებელი ზიანი არ მოაქვს. გადაწყვეტილება[9] სასამართლომ 9 ოქტომბერს გამოაქვეყნა.

სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე „რუსული კანონის“ მოქმედების შეჩერების მიუღებლობა ქმნის სივრცეს, რათა მომდევნო პერიოდში სახელმწიფომ დააჯარიმოს სამოქალაქო საზოგადოების ის ორგანიზაციები, რომლებიც არ

---

[5] Civil.ge. 2024. „საკონსტიტუციო სასამართლო "უცხოელი აგენტების" კანონს განიხილავს. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/622011

[6] Tabula.ge. 2024. „საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტის სარჩელი რუსულ კანონზე წარმოებაში მიიღო“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tabula.ge/en/news/720579-sakonstitutsio-sasamartlom-prezidentis-sarcheli

[7] Interpressnews. 2024. „121 არასამთავრობო ორგანიზაცია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართავს“. ხელმისაწვდომია ლინკზე: https://shorturl.at/NSGfa

[8] Publika.ge. 2024. „ოპოზიციონერი დეპუტატები რუსული კანონის წინააღმდეგ საკონსტიტუციოში სარჩელს ხვალ შეიტანენ“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://publika.ge/opozicioneri-deputatebi-rusuli-kanonis-winaaghmdeg-sakonstitucioshi-sarchels-khval-sheitanen/

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17223

დარეგისტრირდნენ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა“ რეესტრში. გამოწერილი ჯარიმები კი, ბუნებრივია, მნიშვნელოვან ფინანსურ დაბრკოლებას წარმოადგენს ორგანიზაციებისთვის, რამაც, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, სულაც ამ ორგანიზაციების დახურვა გამოიწვიოს.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო „რუსული კანონის“ საკითხზე წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელების ნაწილი. უფრო კონკრეტულად, სასამართლომ უნდა დაადგინოს, არღვევს თუ არა ეს კანონი კონსტიტუციის შემდეგ მუხლებს:

- ევროპასთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციას (კონსტიტუციის 78-ე მუხლი);
- პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას (მე-15 მუხლი);
- აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებას და ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას (მე-17 მუხლი);
- გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს (მე-17 მუხლი);
- გაერთიანების თავისუფლებას (22-ე მუხლი);
- კონსტიტუციურია თუ არა კანონის გასულ წელზე გავრცელება (მონაცემების შევსება). (31-ე მუხლი).

კანონმდებლობის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ დროის ათვლა საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან იწყება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადის არაუმეტეს 2 თვით გაგრძელება შეუძლია. საგულისხმოა, რომ ამ დროის ამოწურვა ავტომატურად არ ნიშნავს სასამართლოს მიერ წარდგენილ სარჩელზე ან წარდგინებაზე გადაწყვეტილების გამოტანას, რადგან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის ვადა კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

დავა სტრასბურგში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დავის პარალელურად, „რუსული კანონის“ წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დავის დაწყების შესახებ ცნობილი 17 ოქტომბერს გახდა. საერთო სარჩელს 16 მედია ორგანიზაცია, 120 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) და 4 ფიზიკური პირი შეუერთდა[10].

[10] Netgazeti.ge. 2024. „რუსულ კანონს სტრასბურგში ასაჩივრებენ“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/news/747120/

სარჩელის ავტორებმა სასამართლოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის[11] შემდეგი მუხლების დარღვევაზე მიმართეს:

- შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების (მე-11 მუხლი);
- გამოხატვის თავისუფლების (მე-10 მუხლი);
- პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების (მე-8 მუხლი);
- დისკრიმინაციის (მე-14 მუხლი);
- სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებების უფლების (მე-13 მუხლი);
- უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლების (მე-18 მუხლი).

საინტერესოა, რომ 22 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ქობალია და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“, რომელიც რუსეთში მოქმედ ანალოგიურ, ე.წ. „აგენტების კანონს“ შეეხებოდა და რომელიც 107 სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციის, ასევე ფიზიკური პირების განაცხადს აერთიანებდა გადაწყვეტილება გამოიტანა.

სასამართლოს თანახმად, მოქმედი კანონმდებლობით დაირღვა გამოხატვის თავისუფლების, გაერთიანების თავისუფლებისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება. სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, რუსეთში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა სტიგმატიზაციას ეწევა, შეცდომაში შემყვანია და გამოყენებულია ზედმეტად ფართო და არაპროგნოზირებადი გზით.

- სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა განმცხადებლების გამოხატვის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებებში ჩარევას. ორგანიზაციის ან ინდივიდის „უცხოეთის აგენტად“ მონიშვნამ მნიშვნელოვნად შეაფერხა მათი საქმიანობა, დააყენა დამატებითი აღრიცხვის, აუდიტის, ანგარიშგების და მარკირების მოთხოვნები და შეზღუდა მათი მონაწილეობა საარჩევნო პროცესში ან საჯარო ღონისძიებების ორგანიზებაში. ასევე, ხშირად იწვევდა სანქციებს – დაწყებული ჯარიმებიდან, ორგანიზაციის დახურვის ჩათვლით.
- გადაწყვეტილების თანახმად, იარლიყი „უცხოური აგენტი“ იყო მასტიგმატიზირებელი და შეცდომაში შემყვანი. რაც შეეხება სტიგმატიზაციის ეფექტს, სასამართლომ მიუთითა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაზე, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის უმრავლესობამ ტერმინი „უცხოელი აგენტი“ დაუკავშირა „მოღალატეს“, „ჯაშუშს“ ან „ხალხის მტრებს“. რუსეთში ახალმა შეზღუდვებმა „უცხოელი აგენტები“ გამორიცხა საჯარო თანამდებობის დაკავების, საარჩევნო კომისიებში მონაწილეობის, პოლიტიკური კამპანიების მხარდაჭერის, არასრულწლოვანთა განათლებისა და ბავშვებისთვის კონტენტის შექმნისგან, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა სტიგმა.
- სასამართლოს მიხედვით, „უცხოური აგენტის“ იარლიყი ასევე შეცდომაში შემყვანი იყო იმდენად, რამდენადაც კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერი ფორმით

[11] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. Council of Europe. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_kat

მხარდაჭერა — დაფინანსება, კონსულტაცია ან ხელმძღვანელობა — უცხოურ კონტროლად ფასდებოდა.

- სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი შეზღუდვები გამიზნული იყო დასასჯელად და არა — გამჭვირვალობის რაიმე სავარაუდო საჭიროების ან ეროვნული უსაფრთხოების შესახებ წუხილების საპასუხოდ. ანალოგიურად, მომჩივნებზე დაწესებული არაპროპორციული სანქციები მიზნად ისახავდა დასჯას ან გაჩუმებას და არა — გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

„საერთო ჯამში, კანონმდებლობას ჰქონდა გამჭოლი ეფექტი საჯარო დებატებსა და სამოქალაქო ჩართულობაზე, შექმნა ეჭვისა და უნდობლობის ატმოსფერო დამოუკიდებელი ხმების მიმართ, რამაც ძირი გამოუთხარა დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს“, — ნათქვამია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში[12].

სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსეთის ფედერაციამ განმცხადებლების სასარგებლოდ 5 500-დან 10 000 ევრომდე კომპენსაცია უნდა გადაიხადოს.

სასამართლოს გადაწყვეტილებას საქართველოში განსხვავებული შეფასებები მოჰყვა. გადაწყვეტილებას გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილი, რომელმაც გამოყო რუსულ კანონში არსებული ის შეზღუდვები, რომლის გამოც სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა დაადგინა, მათ შორის:

- ყველა გამოცემის ბრენდირება, როგორც „უცხოელი აგენტის“ წარმოებულის;
- ყველა საარჩევნო პროცესისგან გამორიცხვა;
- პროფესიული სასწავლო პროგრამების განხორციელების აკრძალვა;
- ახალგაზრდებთან პროგრამების განხორციელების აკრძალვა;
- კერძო კომპანიებისგან სარეკლამო შემოსავლის მიღების აკრძალვა;
- არაპროპორციული სანქციები (დისკრეციული ჯარიმები, ორგანიზაციის გაუქმება).

მისი განცხადებით[13], რუსეთის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღწერილი პრობლემები ქართულ კანონმდებლობას არ აქვს. პაპუაშვილის განცხადებითვე, „საუკუნის აფერა იყო, როდესაც ქართულ კანონს „რუსული კანონი“ უწოდეს“.

საპასუხოდ, საქართველოში ადამიანის უფლებების საკითხზე მომუშავე ერთ-ერთმა ორგანიზაციამ, სოციალური სამართლიანობის ცენტმა, გაავრცელა განცხადება[14], სადაც ნათქვამია, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის გადაწყვეტილებაში ევროპულ სასამართლოს უკვე ჰქონდა შეფასებული „აგენტების“ კანონის ძირითადი პრობლემები,

---

[12] Netgazeti.ge. 2024. „სტრასბურგმა კიდევ ერთხელ დაადგინა, რომ რუსეთის „აგენტების კანონი“ უფლებებს არღვევს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/life/747919/

[13] შალვა პაპუაშვილის განცხადება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ რუსეთში მოქმედი ე.წ. „აგენტების კანონის“ ირგვლივ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.facebook.com/share/p/XkHAehhGcYrbApqx/

[14] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2024. „სტრასბურგის სასამართლომ აგენტების კანონის გამო რუსეთის მიერ უფლებების დარღვევა კიდევ ერთხელ დაადასტურა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://socialjustice.org.ge/ka/products/strasburgis-sasamartlom-agentebis-kanonis-gamo-rusetis-mier-uflebebis-darghveva-kidev-ertkhel-daadastura

ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ ცხადად გამოხატა პოზიცია აგენტების კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე, როგორიცაა - კანონის მასტიგმატიზირებელი ეფექტი, აუდიტისა და ანგარიშგების მოთხოვნები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რომლებიც აგრეთვე არის განსაზღვრული ქართული ოცნების მიერ მიღებულ „რუსულ კანონში“.

ორგანიზაციის თანახმად, რადგან სტრასბურგის სასამართლომ რუსეთის "აგენტების" კანონის ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას პირდაპირ მიუთითა ვენეციის კომისიის განმარტებაზე და იგივე კომისიას „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული კანონიც პრობლემურად აქვს შეფასებული თანაზომიერების პრინციპის დარღვევის გამო, მაღალია შანსი იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ამ შემთხვევაშიც ვენეციის კომისიის დასკვნის სულისკვეთებას გაიზიარებს.

დისკრიმინაციული კანონმდებლობა

17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა ე.წ. ანტი-ლგბტ საკანონმდებლო პაკეტი მესამე მოსმენით, 84 ხმით 0 წინააღმდეგ მიიღო[15]. კენჭისყრაში არ მონაწილეობდა ძირითადი ოპოზიციური ჯგუფების წარმომადგენლები. პაკეტი შედგება ძირითადი კანონპროექტისაგან „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ[16]“ და 18 თანდართული ცვლილებისგან საქართველოს სხვადასხვა კანონში.

კანონის მესამე მოსმენით მიღებამდე, 32-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ განცხადება გაავრცელა, სადაც საკანონმდებლო პაკეტი დაიგმო. ორგანიზაციების თანახმად, „ქართული ოცნება“ იღებს კანონების პაკეტს, რომლის „მიზანი წინასაარჩევნოდ საზოგადოების მანიპულაცია, რეალური პრობლემების გადაფარვა, ირაციონალური შიშის გაღვივება და ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე კიდევ ერთი ბარიერის შექმნაა“[17].

განცხადებაზე ხელმომწერმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხაზი გაუსვეს, რომ საკანონმდებლო პაკეტი სინამდვილეში ცენზურის დაკანონებასა და შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებაში უხეშ ჩარევას მოიაზრებს. „პაკეტი თავისი არსით ეხება არამხოლოდ ერთ ჯგუფს, ლგბტქ+ თემს, არამედ ქმნის პრეცედენტს, რომ მომავალში მთავრობას შეეძლოს ნებისმიერ მოქალაქეს ჩამოართვას კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები. არაერთი ისტორიული მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ ხდება ერთი ჯგუფისათვის უფლებების შეზღუდვა უფრო მასშტაბური რეპრესიების დასაწყისი“, – ნათქვამია განცხადებაში.

---

[15] Civil.ge. 2024. „პარლამენტმა ანტი-ლგბტ კანონმდებლობა მესამე მოსმენით მიიღო“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/624825

[16] კანონის ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/368295

[17] მედიის განვითარების ფონდი. 2024. „საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების განცხადება“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://mdfgeorgia.ge/geo/view_statements/844?fbclid=IwY2xjawFWPKhleHRuA2FlbQIxMQABHZtp6KfSZTEwQ7IztbI4uesGvKBYk09BTjNYGEk5b2_K67zJ27slI3lC-Q_aem_ZtgiZdKaWw6HwDt-mOA4Qw

- მიღებული კანონმდებლობით დაუშვებელი იქნება ქორწინების „ალტერნატიული“ კავშირის დარეგისტრირება, ხოლო იმ პირებს, რომლებიც თავს თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებულ სქესს მიაკუთვნებენ ან, მარტოხელა ადამიანებს, თუ ეს ადამიანი არ არის ჰეტეროსექსუალი, ბავშვის აყვანის უფლება არ ექნებათ.
- კანონით იკრძალება დოკუმენტებში ადამიანის თავისი სქესისგან განსხვავებული სქესის მითითება.
- იკრძალება სქესის შეცვლის მიზნით ოპერაციის ჩატარება ან სხვა სამედიცინო მანიპულაციის გამოყენება.
- ამასთანავე, დაუშვებელი იქნება საგანმანათლებლო დაწესებულებებში „ლგბტ პროპაგანდის“ წარმოება, კერძოდ, ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი სქესისგან განსხვავებულ სქესთან მიკუთვნების, ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.
- დაუშვებელი იქნება მაუწყებლის მიერ ეთერით ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.
- ასევე, იკრძალება იმავე შინაარსის რეკლამა, რაც მაუწყებლის შემთხვევაში გულისხმობს, რომ დაუშვებელი იქნება „ასეთი სცენების გაშვება ეთერში”.
- დაუშვებელი ხდება საჯარო შეკრება, ან მანიფესტაცია, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.
- ბათილად ჩაითვლება შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულების, მითითების ან/და შეთანხმების ის ნაწილი, რომელიც ბიოლოგიური სქესის ამსახველი შინაარსის ქონის გამო რომელიმე სიტყვის ან სიტყვათა ერთობლიობის გამოყენებისგან თავის შეკავებას გულისხმობს.

საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით თავისი პოზიცია გამოხატა ვენეციის კომისიამ, რომელიც მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას „მთლიანად გადაეხედა ამ საკანონმდებლო წინადადებისთვის და არ გაეგრძელებინა მისი მიღება“ ან, თუ გააგრძელებდა მის მიღებას, ამოეღო/შეეცვალა ზოგიერთი მუხლი ისე, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ლგბტი ადამიანების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობა.

საკანონმდებლო პაკეტის მიღებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის პრეზიდენტის, მარკ კულსის[18], საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ჯოზეფ ბორელის[19], აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის, მეთიუ მილერის[20], Freedom House-სა[21], აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის[22], ასევე სხვა საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული კანონმდებლობა, გარდა ლგბტქ+ თემის სტიგმატიზების აშკარა საფრთხისა, ასევე პრობლემურია აღნიშნული თემის საჭიროებების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებისთვისაც. კანონმდებლობის ახალი მოთხოვნები შესაძლოა დამატებითი ბარიერი აღმოჩნდეს ასეთი ორგანიზაციებისთვის, რადგან გაუძნელდეთ ლგბტქ+ თემის საჭიროებებისთვის ადვოკატირების კამპანიების ორგანიზება და უშუალოდ ბენეფიციარების უფლებრივი თუ სხვა ტიპის ინტერესების გამოხატვა.

მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნულ პაკეტს ხელი არ მოაწერა. კანონპროექტი პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის ხელმოწერით გამოქვეყნდა. კანონი გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს ამოქმედდება[23].

OGP-ში საქართველოს წევრობის შეჩერება

16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს ოფიციალურად დროებით შეუჩერდა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფორმატის წევრობა.

ღია მმართველობის პარტნიორობამ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც საქართველომ დათქმულ ვადაში არ წარმოადგინა მისთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულების გეგმა და განრიგი.

რეკომენდაციებს შორისაა:

- ამჟამინდელი კანონებისა და სამომავლო ინიციატივებიც გაუქმება და გაწვევა, რომელიც მიმართულია დისკრიმინაციისა და სტიგმატიზებისკენ, ან აუარესებს გამოხატვის თავისუფლებასა და გაერთიანების თავისუფლებას სამოქალაქო

[18] COE.int. 2024. "Congress President deplores adoption of anti-LGBTI legislation in Georgia" ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.coe.int/en/web/congress/-/congress-president-deplores-adoption-of-anti-lgbti-legislation-in-georgia

[19] ჯოზეფ ბორელის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://x.com/JosepBorrellF/status/1836303130624999460

[20] მეთიუ მილერის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.state.gov/briefings/department-press-briefing-september-19-2024/#post-585965-GEORGIA

[21] Freedom House-ს განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://x.com/freedomhouse/status/1836057063744471282

[22] აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.facebook.com/share/p/dSa3hT5PCBJAJSun/

[23] რადიო თავისუფლება. 2024. „შალვა პაპუაშვილმა ხელი მოაწერა ლგბტ უფლებების შემზღუდავ კანონპროექტს". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/33144424.html

საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, მედიის წარმომადგენლებისა და მოწყვლადი ჯგუფების წევრებისთვის;

- გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების დაცვა, სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცისა და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისგან თავისუფლად ფუნქციონირების შესაძლებლობა, მათ შორის საარჩევნო პერიოდში.

OGP-ის თანახმად[24], აქტიური წევრის სტატუსის კვლავ მოსაპოვებლად, საქართველოს მთავრობამ ადეკვატურად უნდა უპასუხოს იმ წუხილებს, რამაც ამ წევრობის შეჩერება გამოიწვია. ასევე, საქართველოს მთავრობას მიეცა შესაძლებლობა, რომ მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში წარმოადგინოს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ აპირებს 2025 წლის 31 დეკემბრისთვის რეკომენდაციების შესრულებას. ცნობილია ისიც, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის მმართველი კომიტეტი საქართველოს შესახებ 2026 წლის დასაწყისში იმსჯელებს და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით განიხილავს საქართველოს პარტნიორობის ფორმატში დაბრუნების, ან მისი წევრობის საბოლოოდ შეწყვეტის საკითხს.

იმ შემთხვევაში, თუ მმართველი კომიტეტი მიიჩნევს, რომ საქართველომ ადეკვატურად უპასუხა არსებულ გამოწვევებს, მას წევრობა აღუდგება.

OGP არის ერთგვარი პარტნიორობის საერთაშორისო ფორმატი, სადაც სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს აქვთ საშუალება ერთად შეიმუშაონ და მოგვიანებით განახორციელონ ისეთი სამოქმედო გეგმები, რომლებიც საბოლოოდ მთავრობას უფრო მეტად ინკლუზიურსა და ანგარიშვალდებულს გახდის. აღნიშნული ფორმატი ხელს უწყობს გამჭვირვალობის ზრდას, მოქალაქეთა პროცესებში ჩართვასა და ამ გზით მათ გაძლიერებას, კორუფციასთან ბრძოლასა და მმართველობის გამტკიცებას.

თავის მხრივ, საქართველო ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი 2011 წლიდანაა. 2017-2018 წლებში იგი იყო პარტნიორობის თანათავმჯდომარე ქვეყანა, თუმცა 2024 წელს მიღებულმა „რუსულმა კანონმა“ და სხვა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებიც ძირეულად შეუთავსებელია სამოქალაქო სივრცის დაცვისა და ადამიანის ფუნდამენტალურ თავისუფლებებთან, გამოიწვია ქვეყნის პოზიციების გაუარესება.

აღნიშნული ფორმატიდან საქართველოს ჩამოშორება პრაქტიკულად კიდევ უფრო გააუარესებს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

აფგან სადიგოვის საქმე

თბილისში 3 აგვისტოს დააკავეს აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, აფგან სადიგოვი, მომდევნო დღესვე კი სასამართლომ მას 3-თვიანი საექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა. ქართული

[24] OGP. 2024. “Georgia Temporarily Suspended from the Open Government Partnership”. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.opengovpartnership.org/news/georgia-temporarily-suspended-from-the-open-government-partnership/

სასამართლოს განმარტებით[25], სადიგოვს, აზერბაიჯანში აღძრული საქმის მიხედვით, ბრალად ედება ადამიანებისგან შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელების მუქარა, დიდი ოდენობით ქონების გამოძალვის მიზნით. ადგილობრივი უფლებადამცველები მას ჟურნალისტური საქმიანობისთვის დევნილად, ხოლო მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევენ.

როგორც აფგან სადიგოვი მედიასთან საუბარში დაკავებამდე აცხადებდა, იგი თავს საქართველოში დაცულად არ გრძნობდა და ქვეყნის დატოვება სურდა, თუმცა 18 ივლისს საზღვარზე არ გაატარეს. მისივე განცხადებით, მას მხოლოდ აზერბაიჯანის მიმართულებით გაფრენა შეეძლო. „რადიო თავისუფლების“ თანახმად, ჟურნალისტის მეუღლე შიშობს, რომ სადიგოვს ბაქოში სიკვდილი ელის.

ექსტრადაციის შემთხვევაში აფგან სადიგოვი იქნება მეორე ჟურნალისტი, რომელიც ბოლო წლებში საქართველოდან აზერბაიჯანში აღმოჩნდა. 2017 წელს თბილისიდან გაუჩინარებული აფგან მუხთარლი საბოლოოდ აზერბაიჯანის საპატიმროში საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და ვალუტის კონტრაბანდის ბრალდებით მოხვდა. აზერბაიჯანში მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თუმცა 2020 წელს მოულოდნელად გაათავისუფლეს. მუხთარლის მტკიცებით, იგი თბილისიდან ქართულმა მხარემ გაიტაცა და აზერბაიჯანის სახელმწიფოს გადასცეს[26].

სადიგოვის შესაძლო ექსტრადიცია, საქართველოში "რუსული კანონის" ამოქმედების პარალელურად, მნიშვნელოვან საგანგაშო სიგნალს წარმოადგენს ქვეყანაში მყოფი იმ უცხოელი უფლებადამცველების, სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც საკუთარ სამშობლოში იდევნებიან, ხოლო საკუთარ საქმიანობას საქართველოდან ახორციელებენ. მსგავსი საქმეების არსებობა და გახშირება ამგვარ ჯგუფებსა თუ ინდივიდებს საქართველოს, როგორც საფრთხის შემცველი ქვეყნის, დატოვებისკენ უბიძგებთ.

---

[25] რადიო თავისუფლება. 2024. „აფგან სადიგოვი - ვინ არის აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, რომელსაც თბილისში საექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდეს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: აფგან სადიგოვი - ვინ არის აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, რომელსაც თბილისში საექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდეს

[26] Freedom House-ს თანახმად, აზერბაიჯანში პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების თვალსაზრისით, ვითარება მაქსიმალური 100 ქულიდან მხოლოდ 7-ით ფასდება, რაც ქვეყანას არათავისუფალ სტატუსს ანიჭებს. გარდა ამისა, მედიის თავისუფლების თვალსაზრისით, შესაძლო მაქსიმალური 4 ქულიდან, ქვეყანას 0 ქულა აქვს. აზერბაიჯანში 2021 წლის 30 დეკემბერს მიიღეს კანონი, რომელიც ჟურნალისტებს ერთგვარ "რეესტრში" რეგისტრაციას ავალდებულებს. ის ჟურნალისტები, რომლებიც არ არიან ამგვარი რეესტრის წევრები, სახელმწიფოს მხრიდან ჟურნალისტებად არ განიხილებიან, შესაბამისად მათ ვერ ექნებათ ინფორმაციის მოთხოვნის ლეგიტიმური უფლება. გარდა ამისა, კანონის თანახმად, ჟურნალისტებმა "ობიექტურად" უნდა გააშუქონ მოვლენები, ამგვარი ფართოდ ინტერპრეტირებადი დათქმა კი აქრობს სივრცეს კრიტიკული და საგამოძიებო ჟურნალისტიკისთვის. ასევე საგულისხმოა, რომ ჟურნალისტებს წერილობითი ნებართვის გარეშე არ აქვთ უფლება გაავრცელონ, პირის, მათ შორის საჯარო სივრცეში მოპოვებული, ფოტო ან ვიდეო მასალა. თავისუფლების დამცველი ორგანიზაციების შეფასებით, აღნიშნული კანონის მიზანი მედიაზე კონტროლის საბოლოოდ მოპოვება და ცენზურის დაკანონებაა.

ჟურნალისტის დაკავებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა, რომლის თანახმადაც, ისინი "მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, პატივი სცეს ადამიანის უფლებებს და ფუნდამენტურ თავისუფლებებს და დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სადიგოვი [საექსტრადიციო პატიმრობიდან]". აღნიშნული კომენტარი ვაშინგტონში მომუშავე ჟურნალისტმა, ალექს რაუფოღლუმ გაავრცელა. სადიგოვის საქმე, შესაძლოა, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ბოლოდროინდელი გაუარესების კიდევ ერთ გამოხატულებად იქცეს.

1 ნოემბერს ცნობილი გახდა, რომ აფგან სადიგოვს საექსტრადიციო პატიმრობა კიდევ სამი თვით გაუხანგრძლივდა[27].

სსო-თა დაფინანსების სამთავრობო ინიციატივა

9 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო გრანტს გამოყოფო საგრანტო პროგრამას შექმნის[28].

მისი განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება მმართველმა გუნდა მიიღო, რადგან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ემუქრებიან და აშანტაჟებენ როგორც სხვა ორგანიზაციები, ასევე ცალკეული უცხოური დონორი ორგანიზაციები, რომ თუ ისინი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციას გაივლიან (დარეგისტრირდებიან, როგორც უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარნი), მაშინ ვეღარ მიიღებენ დაფინანსებას.

კობახიძის თანახმად, აღნიშნული ინიციატივით არ უნდა დაინტერესდნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც არ დარეგისტრირდნენ იუსტიციის სამინისტროს ბაზაში.

„ეს მორიგი მოსყიდვაა და არ მგონია სწორი იყოს, სრულიად არაადეკვატური იყო“, - განაცხადა ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ.

საბიუჯეტო საგრანტო პროგრამის ინიცირება, მაშინ, როდესაც „რუსული კანონის“ მიღებით კიდევ უფრო მეტად დაზიანდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სასიცოცხლო გარემო, წარმოადგენს სექტორის სტიგმატიზების მცდელობას. შესაძლოა, რომ ამ ინიციატივის მიზანი პარალელური, ხელისუფლებისადმი ლოიალური სამოქალაქო საზოგადოების შექმნა იყოს, რაც, საბოლოოდ, გამიზნულია სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის მოჩვენებითობის უზრუნველყოფისთვის.

„რუსული კანონის“ ამოქმედების კონტექსტში, როდესაც ორგანიზაციათა უმეტესობა აცხადებს, რომ არ დარეგისტრირდა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი

---

[27] რადიო თავისუფლება. 2024. „სასამართლომ აზერბაიჯანელ ჟურნალისტს სამი თვით გაუხანგრძლივა საექსტრადიციო პატიმრობა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/33183305.html

[28] რადიო თავისუფლება. 2024. „კობახიძის თქმით, არასამთავრობიებისთვის სახელმწიფო გრანტს გამოყოფს“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/33112760.html

ორგანიზაციად“, აღნიშნული ინიციატივა სამოქალაქო სექტორის დაყოფისა და ორი სხვადასხვა ბანაკის ჩამოყალიბების აშკარა მცდელობასაც წარმოადგენს.

სანქციები და დასავლეთთან ურთიერთობების უკიდურესი გაუარესება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კიდევ უფრო გაუარესდა ურთიერთობები დასავლეთსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის, რაც არამხოლოდ ოფიციალური პირების განცხადებებში, არამედ მიღებულ რეზოლუციებსა და საქართველოს მთავრობის წევრების ფინანსურ სანქცირებასა და პარლამენტის წევრებისთვის სავიზო შეზღუდვების დაწესებაში გამოიხატა.

16 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორს, ზვიად ხარაზიშვილსა და მის მოადგილეს, მილერი ლაგაზაურს, ფინანსური სანქციები დაუწესა[29]. სანქციები ასევე დაუწესდა ზურაბ მახარაძესა და კონსტანტინე მორგოშიას, რომლებიც, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობაშია ნათქვამი, ძალადობრივი, ექსტრემისტული ჯგუფის ლიდერები არიან.

გარდა ამისა, საქართველოში დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრისა და მასში მონაწილეობის გამო, სავიზო შეზღუდვები დაუწესდა საქართველოს 60-ზე მეტ მოქალაქესა და მათი ოჯახის წევრებს. აღნიშნული შეზღუდვები შეეხო ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩართულნი არიან კორუფციაში, ადამიანებს, რომლებიც ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, რამაც ძალადობრივი ექსტრემიზმი გამოიწვია, სამართალდამცავებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მოქალაქეებზე ძალადობაში და პარლამენტის იმ წევრებს, რომლებმაც შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი ანტიდემოკრატიული კანონმდებლობის მიღებასა და სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვაში.

საპასუხოდ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ „სანქციები არის ერთდროულად არასერიოზული და ძალიან სამწუხარო მოვლენა“. მისივე შეფასებით, ამერიკულ ინსტიტუტებს სჭირდებათ „დეოლიგარქიზაცია“[30].

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის ურთიერთობების უკიდურესი გაუარესების გამოხატულებად უნდა შეფასდეს პრემიერ-მინისტრისთვის, ირაკლი კობახიძისთვის აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ოფიციალურ მიღებაზე მიწვევის გაუქმება.

---

[29] US embassy in Georgia. 2024. “Promoting Accountability for Serious Human Rights Abuse and Anti-Democratic Actions in Georgia”. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://ge.usembassy.gov/promoting-accountability-for-serious-human-rights-abuse-and-anti-democratic-actions-in-georgia/

[30] Interpressnews. 2024. „ირაკლი კობახიძე - სანქციები არის ერთდროულად არასერიოზული და ძალიან სამწუხარო მოვლენა - ამერიკულ ინსტიტუტებს სჭირდება დეოლიგარქიზაცია“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/3qDdj

ვაშინგტონის ნაბიჯი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ ახსნა და განაცხადა, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ გააუქმა პრემიერ-მინისტრ კობახიძის მოწვევა გაეროს გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ მიღებაზე და უარი თქვა ქართულ დელეგაციასთან შეხვედრაზე, რადგან ამის მიზეზი საქართველოს ხელისუფლების ანტიდემოკრატიული ქმედებების, აშშ-ისა და დასავლეთის შესახებ დეზინფორმაციისა და ნეგატიური რიტორიკის შესახებ მზარდი წუხილები იყო.

სანქციებზეა საუბარი ევროპარლამენტის მიერ 9 ოქტომბერს მიღებული რეზოლუციის ტექსტშიც, რომელსაც მხარი 495-მა დეპუტატმა დაუჭირა. წინააღმდეგ ხმა 73-მა ევროპარლამენტარმა მისცა, 86-მა კი თავი შეიკავა.

სხვა საკითხებთან ერთად, რეზოლუცია საქართველოს ხელისუფლებისთვის ევროკავშირის სახსრების გაყინვისკენ მოუწოდებს, სანამ ის არ გააუქმებს ანტიდემოკრატიულ კანონმდებლობას. რეზოლუცია ასევე მოუწოდებს, რომ სანქციები დაეკისროს „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილს და შეფასდეს საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის კრიტერიუმების შესრულება. დოკუმენტი ასევე მოითხოვს „მკაცრი პირობების დაწესებას საქართველოს მთავრობისთვის ნებისმიერი მომავალი დაფინანსების გაცემაზეც“[31].

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მიღებულ რეზოლუციას „აღმაშფოთებელი, სამარცხვინო და ამაზრზენი“ უწოდა[32].

კიდევ უფრო კრიტიკულია ევროპული საბჭოს დასკვნები საქართველოს შესახებ. 17 ოქტომბერს გამართული შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ დასკვნებში[33] წერია, რომ საბჭო გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას საქართველოს ხელისუფლების ქმედებების გამო, რომლებიც ევროკავშირის ფუძემდებლურ ღირებულებებსა და პრინციპებს ეწინააღმდეგება.

ევროპულმა საბჭომ აღნიშნა, რომ „ასეთი ქმედებები საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროპულ გზას და დე ფაქტო აჩერებს გაწევრიანების პროცესს“. მან მოუწოდა საქართველოს „გაატაროს დემოკრატიული, ყოვლისმომცველი და მდგრადი რეფორმები, ევროინტეგრაციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად“.

ურთიერთობების გაუარესების კვალდაკვალ, მცირდება დასავლელი პარტნიორების მხრიდან საქართველოსადმი დახმარების ოდენობაც. მაგალითისთვის, საგულისხმოა, რომ

[31] Civil.ge. 2024. „ივანიშვილის სანქცირება, ევროკავშირის თანხების გაყინვა, ვიზალიბერალიზაციის კრიტერიუმების გადახედვა – ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოს შესახებ“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/627915

[32] Civil.ge. 2024. „პაპუაშვილი: ევროპარლამენტის რეზოლუციის პროექტი „აღმაშფოთებელი, სამარცხვინო და ამაზრზენია“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/627833

[33] ევროპული საბჭოს დასკვნები საქართველოს შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/wp-content/uploads/2024/10/20241017-euco-conclusions-en.pdf

დემოკრატიის უკუსვლის გამო საქართველო 121 მილიონი ევროს ოდენობით ევროკავშირის დახმარებას დაკარგავს[34].

მნიშვნელოვანია ცალკეული ქვეყნების მიერ ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებებიც. გერმანიაში, რომელიც ევროკავშირის ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფოა, 10 ოქტომბერს მიიღეს რეზოლუცია, სადაც ბუნდესტაგი მოუწოდებს გერმანიის მთავრობას „დაჟინებით მოითხოვოს“ ევროპულ დონეზე, რომ „საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში შემდგომი პროგრესი არ მოხდეს“, სანამ ძალაში იქნება კანონი უცხოელი აგენტების შესახებ[35]. რეზოლუციაში ასევე ნეგატიურადაა შეფასებული საქართველოს მიერ ე.წ. ანტი-ლგბტქ+ კანონმდებლობის მიღება.

მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ორ-პარტიული კანონპროექტებიც, მათ შორის „მეგობარი აქტი“ და „ქართველი ხალხის აქტი“. სენატორი ჯინ შაჰინის განცხადებით, რომელიც „ქართველი ხალხის აქტის“ თანაავტორია, სენატში დარეგისტრირებულ კანონპროექტს 23 ოქტომბერს კიდევ 10 მხარდამჭერი სენატორი დაემატა[36]. აშშ-ის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ცნობით, კანონპროექტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დაკისრებას საქართველოს მთავრობის მაღალჩინოსნებისა და წევრებისთვის. დოკუმენტი მოიცავს ახალ სანქციებს. სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ინფორმაციით, ამავდროულად, „კანონპროექტი განამტკიცებს აშშ-ის ურყევ მხარდაჭერას ქართველი ხალხისადმი“.

დემოკრატიული უკუსვლა და დასავლეთთან ურთიერთობების გაუარესება, რაც საბოლოოდ, ასევე, გულისხმობს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის შეჩერებას, წარმოადგენს მნიშვნელოვან გარემოებას, რაც კიდევ უფრო მეტად აუარესებს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემოს.

ევროპული ინტეგრაციის პროცესის ფაქტობრივი შეჩერების გამოხატულებაა ევროკომისიის მიერ საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული გაფართოების მეორე ანგარიში. ევროკავშირის ელჩის, პაველ ჰერჩინსკის თანახმად, რომელმაც ანგარიში შეაჯამა „წელს საქართველომ უკან დაიხია, ხოლო სხვა კანდიდატი ქვეყნებმა წინ წაიწიეს“. [37]

---

[34] Tabula.ge. 2024. „EU: დემოკრატიის უკუსვლის გამო საქართველო €121 მილიონს დაკარგავს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tabula.ge/ge/news/724063-eu-demokratiis-ukusvlis-gamo-sakartvelo-eu121

[35] Civil.ge. 2024. „ბუნდესტაგმა „საქართველოს ევროპული მომავლის“ შესახებ რეზოლუცია მიიღო“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/628185

[36] საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024. სენატორი ჯინ შაჰინი აცხადებს, რომ „ქართველი ხალხის აქტს“ მხარდამჭერები დაემატნენ. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://1tv.ge/news/senatori-jin-shahini-ackhadebs-rom-qartveli-khalkhis-aqts-mkhardamcherebi-daematnen/

[37] Civil.ge. 2024. „ევროკომისიამ გაფართოების მეორე ანგარიში გამოაქვეყნა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/632733

სადამკვირვებლო ორგანიზაციების დისკრედიტაციის კამპანია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მთავრობისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან კვლავ შენარჩუნდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის საარჩევნო პროცესზე დამკვირვებელი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციის კამპანია.

ამ პერიოდში ხელისუფლების მტრული რიტორიკის სამიზნე მათ შორის იყო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და მისი დირექტორი, ეკა გიგაური. 12 სექტემბერს ეკა გიგაური სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტზე გამოვიდა, სადაც საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრა. მან მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს ხელისუფლება და განაცხადა, რომ ქართველ ხალხს „რუსული კანონის“ მიღების შემდეგ დასავლეთის დახმარება სჭირდება. მან სენატორებს მოუწოდა, რომ დაესანქცირებინათ კონკრეტული პირები, თუმცა არა ქართველი ხალხი[38].

ეკა გიგაურის გამოსვლას მკაცრი კრიტიკა მოჰყვა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ მას სენატში გამოსვლისთვის „სერგო ორჯონიკიძე“ *(ბოლშევიკი რევოლუციონერი, რომლის სახელიც საქართველოში მოღალატის სინონიმად გამოიყენება).* უწოდა[39].

საგულისხმოა, რომ მოგვიანებით, 24 სექტემბერს, საქართველოს ანტიკორუფციულმა ბიურომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და კიდევ ერთი ორგანიზაცია „აირჩიე ევროპა“ „საარჩევნო მიზნების მქონე“ სუბიექტებად გამოაცხადა, რითაც ამ ორგანიზაციებს, მათ შორის არჩევნებზე დაკვირვების შესაძლებლობა ჩამოერთვათ[40]. ბიუროს თანახმად, „მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და მისი აღმასრულებელი დირექტორი, ეკა გიგაური, როგორც უშუალოდ ასევე კამპანია „ჩემი ხმა ევროკავშირის“ ფარგლებში, აქტიურად იყვნენ ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში, რომელიც მიზნად ისახავდა, როგორც კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის, ასევე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერისგან თავის შეკავების მოწოდებებს“.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შეფასებით, მათ წინააღმდეგ ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წინასწარ გაცხადებული კოალიციური დაკვირვებისა და სადამკვირვებლო მისიის „ჩემი ხმა” წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იყო. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენლის შეფასებით, ხელისუფლება ორგანიზაციების

---

[38] Netgazeti.ge. 2024. „დაასანქცირეთ კონკრეტული პირები და არა ქართველი ხალხი“ – გიგაური სენატორებს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/news/741788/

[39] საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024. „მოწმე ეკა გიგაური - მოსმენა სენატში“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://1tv.ge/video/mowme-eka-gigauri-mosmena-senatshi/

[40] საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024. „„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, „აირჩიე ევროპა“ და მათი ხელმძღვანელები საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად გამოცხადდნენ და მათზე კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები გავრცელდება“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://1tv.ge/news/ssaertashoriso-gamchvirvaloba-saqartvelo-airchie-evropa-da-mati-khelmdzghvanelebi-saarchevno-miznis-mqone-subieqtebad-gamockhaddes-da-matze-kanonit-gatvaliswinebuli/

წინააღმდეგ ანტიკორუფციული ბიუროს მეშვეობით ბევრად უფრო ეფექტურად და სწრაფად ბრძოლას ცდილობდა[41].

აღნიშნული გადაწყვეტილება აშშ-ში შეაფასეს, როგორც „დასჯა სენატში სიტყვით გამოსვლის“ გამო. შესაბამისი წერილი ოთხმა სენატორმა, გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ „ხელისუფლების გადაწყვეტილება მოწმობს, რომ ავტოკრატიული მთავრობები არაკეთილსინდისიერად იყენებენ კანონებს დამოუკიდებელი ხმების დასასჯელად“[42]. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლოს გზით ბათილად ცნობა მოითხოვა, თუმცა სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა[43]. მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ ანტიკორუფციულ ბიუროს მოუწოდა, რომ „სახელმწიფო ინტერესებისათვის, პირველ რიგში კი, საარჩევნო პროცესში გარე მანიპულაციის თავიდან ასარიდებლად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მოეხსნას განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე ორგანიზაციის სტატუსი“.

ამასთან, კობახიძის თქმით, სასურველი იყო, იგივე მიდგომა გავრცელებულიყო განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე ორგანიზაციად აღიარებულ სხვა სუბიექტებზეც[44]. საბოლოოდ, ანტიკორუფციულმა ბიურომ ორგანიზაციას მოუხსნა სტატუსი, რომელიც მას არჩევნებზე დაკვირვების შესაძლებლობას უზღუდავდა. შექმნილი ვითარება, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ ორგანიზაციებისთვის განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სტატუსის მინიჭება, ხოლო მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრის მხრიდან მოწოდების შედეგად, ამგვარი სტატუსის გაუქმება, ბადებს ეჭვებს ბიუროს დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მიუკერძოებლობის შესახებ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პარტია „ქართული ოცნების“ მიერ 22 ოქტომბერს გაკეთებული განცხადებით, მათ მიერ ჩატარებული ახალი მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რეგისტრირებული 102 სადამკვირვებლო ორგანიზაციიდან 37 ორგანიზაცია პირდაპირ არის დაკავშირებული პოლიტიკურ პარტიებთან, ხოლო 16 ორგანიზაცია ეწევა მმართველი პარტიის საწინააღმდეგო კამპანიას[45].

---

[41] რადიო თავისუფლება. 2024. „„აგენტების კანონზე“ სწრაფი და ეფექტური - ანტიკორუფციული ბიურო არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/gM4YT

[42] Publika.ge. 2024. „ეკა გიგაური სენატში მიცემული ჩვენების გამო ისჯება" - სენატორების განცხადება“ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://publika.ge/eka-gigauri-senatshi-micemuli-chvenebis-gamo-isjeba-senatorebis-ganckhadeba/

[43] რადიო თავისუფლება. 2024. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას მოითხოვს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/33136356.html

[44] Netgazeti.ge. 2024. „კობახიძე ანტიკორუფციულს მოუწოდებს, TI-სა და სხვებზე გადაწყვეტილებას გადახედოს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/news/744599/

[45] Interpressnews.ge. 2024. „გივი მიქანაძე - ორგანიზაცია „სამართლისა და თანასწორობის ცენტრს“, რომელიც „ნაცმოძრაობასა“ და „ახალთან“ არის აფილირებული, ცესკო-მ რეგისტრაცია გაუუქმა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.interpressnews.ge/ka/article/817236-givi-mikanaze-organizacia-

მნიშვნელოვანია, რომ მმართველი გუნდის რიტორიკა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მათ შორის არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციებს საზოგადოების თვალში პოლიტიკურად ანგაჟირებულ, მიკერძოებულ სუბიექტებად წარმოაჩენს, რითაც ხდება ამ ორგანიზაციების სტიგმატიზაცია, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს მათ მიერ სამუშაოს განხორციელებაში.

„ომისა და მშვიდობის კამპანია“

წინასაარჩევნოდ სახელისუფლებო გუნდმა საქართველოში ომის საფრთხის ინსტრუმენტალიზაციის კამპანია დაიწყო. აღნიშნული კამპანია გამოვლინდა, როგორც პოლიტიკოსების საერთო განცხადებაში, რომ თუ საქართველოში ხელისუფლებაში ოპოზიციური ძალები მოვიდოდნენ, მაშინ ისინი რუსეთის წინააღმდეგ ომს დაიწყებდნენ, ასევე საარჩევნო ბანერებში, რომლებიც ქართული ოცნების დაკვეთით დამზადდა. აღნიშნულ ბანერებზე საქართველოს განვითარებული ინფრასტრუქტურის, სკოლების, ეკლესიების, საავადმყოფოების, თეატრების, ხიდებისა და გზების გვერდით წარმოდგენილი იყო უკრაინაში რუსული აგრესიის შედეგად განადგურებული მსგავსი ობიექტები[46]. ბანერებზე იყო მოწოდება „არა ომს - აირჩიე მშვიდობა“, სადაც ომისა და ნგრევის მხარეს დატანილი იყო ოპოზიციური პარტიებისა და გაერთიანებების საარჩევნო ნომრები, ხოლო „მშვიდობის“ მხარეს - პარტია ქართული ოცნების საარჩევნო ნომერი.

მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, მმართველი პარტიის ერთ-ერთი დაპირება, 2008 წლის ომის დაწყებასთან კავშირთან მინიშნებით, გახლდათ ოპოზიციური პარტიების აკრძალვაც. პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ „ქართული ოცნება“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებდა, აკრძალვა შეეხებოდა შემდეგ პოლიტიკურ ჯგუფებს:

- ენმ და მის ირგვლივ შექმნილი კოალიცია (სტრატეგია აღმაშენებელი, ევროპული საქართველო)
- ახალი, გირჩი, დროა – კოალიცია ცვლილებებისთვის;
- კოალიცია „ძლიერი საქართველო“ (ლელო, თავისუფლების მოედანი, ანა დოლიძე, ალეკო ელისაშვილი, გიორგი მარგველაშვილი)
- გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“.

მმართველი გუნდის დაპირებებს შორის იყო პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტიც[47], რომელიც ახლადარჩეულ პარლამენტს უნდა განეხორციელებინა.

მმართველი გუნდის მხრიდან პოზიციონირება, რომ არჩევნებზე საქართველოში ომისა და მშვიდობის საკითხი წყდება, სადაც თავად იყო მშვიდობის გარანტი, ოპოზიციური პარტიები

---

samartlisa-da-tanascorobis-centrs-romelic-nacmozraobasa-da-axaltan-aris-apilirebuli-cesko-m-registracia-gauukma/

[46] რადიო თავისუფლება. 2024. „"რა თქმა უნდა, "ქართული ოცნების" კამპანიაა" - პარტიაში საარჩევნო ბანერებს განმარტავენ“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/33135941.html

[47] რადიო თავისუფლება. 2024. „იმპიჩმენტის მცდელობა 2 - არღვევს თუ იცავს კონსტიტუციას პრეზიდენტი?“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/2Xxxi

კი ომის მომხრეები, ხოლო, მეორე მხრივ, ამ პარტიების აკრძალვისა და პრეზიდენტის იმპიჩმენტის დაპირებები, კიდევ უფრო მეტად ზრდის პოლიტიკური პოლარიზაციისა და დაპირისპირების ხარისხს, რაც უარყოფითად აისახება ზოგადად სამოქალაქო საზოგადოებასა და მის საარსებო გარემოზე.

არჩევნების შედეგები და რეაქციები

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 26 ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც სრულად პროპორციული სისტემით გაიმართა, მონაწილეობა საქართველოს 2 060 412 მოქალაქემ მიიღო. ცესკოს წინასწარი მონაცემების თანახმად[48], ამომრჩეველთა თითქმის 54-მა პროცენტმა მხარი „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა, რაც, ბუნებრივია, საკმარისია მთავრობის დამოუკიდებლად დასაკომპლექტებლად. ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებმაც 5-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გადალახვა შეძლეს, ჯამში ხმათა დაახლოებით 38 პროცენტი მიიღეს, მათ შორის:

- კოალიცია ცვლილებისთვის: ახალი, დროა, გირჩი - მეტი თავისუფლება - 11.03%;
- ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა - 10.17%;
- ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის - 8.80%;
- გახარია საქართველოსთვის - 7.77%.

ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების კოალიციური სადამკვირვებლო მისია - “ჩემი ხმის” თანახმად, არჩევნების დღე მძიმე და არსებითი დარღვევების ფონზე მიმდინარეობდა.

„არჩევნების დღის ბოლოს აშკარა გახდა, რომ დღის განმავლობაში საარჩევნო პროცესის მონიტორინგისას გამოკვეთილი სხვადასხვა პრობლემა დიდი სქემის ნაწილი იყო, რომლის მიზანი არჩევნების საბოლოო შედეგის შეცვლა იყო. აშკარა გახდა, რომ შემუშავებული იყო არჩევნების გაყალბების კომპლექსური სქემა, რომლის განხორციელებისთვისაც გამოყენებული იქნა ისეთი მეთოდები, როგორიცაა ვერიფიკაციის სისტემის მოშლა, მარკირების პროცედურების დარღვევა და დამკვირვებლებისათვის ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის პროცედურების დაკვირვებაზე ხელშეშლა. დღის პირველ ნახევარში მასობრივად ჰქონდა ადგილი ამომრჩევლებისთვის ორი ან მეტი ბიულეტენის გადაცემას. ასევე, დაფიქსირდა შემთხვევებიც, როდესაც ბიულეტენებზე მმართველი პარტია უკვე მონიშნული იყო.“, - წერია კოალიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ჩემი ხმის“ თანახმად, ამგვარი და სხვა მანიპულაციების, მათ შორის, წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლისათვის პირადობის მოწმობების ჩამორთმევის შედეგად გახდა შესაძლებელი მმართველი პარტიის სასარგებლოდ ხმების გადამწყვეტი რაოდენობის მოპოვება.[49]

---

[48] საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები. 2024. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://results.cec.gov.ge/#/ka-ge/election_57/tr/dashboard

[49] „ჩემი ხმის“ განცხადება კენჭისყრის დღისა და უბნების დახურვის პროცესის შეფასების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://transparency.ge/ge/post/kenchisqris-dgisa-da-ubnebis-daxurvis-procesis-

არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა არ აღიარა არცერთმა ოპოზიციურმა ჯგუფმა, რომლებმაც საარჩევნო ბარიერის გადალახვა შეძლეს[50][51], შესაბამისად აღნიშნული პარტიები არ აპირებენ საპარლამენტო მუშაობის დაწყებას. არჩევნების შედეგებს ლეგიტიმურად არ ცნობს პრეზიდენტიც. მისი განცხადებით, არჩევნები „ტოტალურად გაყალბდა“. პრეზიდენტის განცხადების კვალდაკვალ, ცესკოს მიმართვის საფუძველზე, პროკურატურამ გამოძიება დაიწყო საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო გაყალბების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164³-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით და საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გამოკითხვაზე დაიბარა[52].

აღსანიშნავია, რომ სანამ საქართველოში არჩევნების შესაძლო გაყალბების ფაქტზე გამოძიება დაიწყებოდა, ამგვარი გამოძიების შესახებ უკვე საუბრობდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი, მეთიუ მილერი, რომელმაც 28 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე „გადიოდა კონსულტაციებს ევროპელ პარტნიორებთან, თუ რომელი ორგანო იქნებოდა შესაფერისი“ საქართველოში არჩევნების შესაძლო გაყალბების გამოძიებისთვის[53]. საპასუხოდ პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა მედიასთან გაკეთებული კომენტარისას რიტორიკული კითხვა დასვა, თუ „რატომ არ ენდობიან დასავლეთში საშინაო [საქართველოში ჩატარებულ] გამოძიებას“[54].

მნიშვნელოვანია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა საქართველოს მთავრობას არჩევნებთან დაკავშირებული ყველა დარღვევის გამჭვირვალედ გამოძიებისკენ მოუწოდა. მისივე განცხადებით, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები შეიბღალა მრავალჯერ აღრიცხული ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებით, ამომრჩევლის დაშინებითა და იძულებით[55].

ამის საპასუხოდ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ 30 ოქტომბერს განაცხადა, რომ არჩევნები „ჩატარდა აბსოლუტურად

---

shepaseba/?custom_searched_keyword=%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98+%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90

[50] ON.ge. 2024 „სალომე ზურაბიშვილი: ეს იყო არჩევნების ტოტალური გაყალბება“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/QDCJC

[51] Netgazeti.ge. 2024. „რა მოხდება, თუ ოპოზიცია პარლამენტში არ შევა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/life/749160/

[52] Netgazeti.ge. 2024. „არჩევნების გაყალბებაზე გამოძიება დაიწყო, პრეზიდენტი პროკურატურაში გამოკითხვაზე დაიბარეს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://netgazeti.ge/news/749125/

[53] რადიო თავისუფლება. 2024. „ვინ და რას გამოიძიებს 21 დღეში და აისახება თუ არა შედეგები არჩევნებზე?“, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/WkgSy

[54] Publika.ge. 2024. „„საშინაო გამოძიებას, რას ერჩიან? საშინაო რომ იყოს, რა პრობლემაა? - პაპუაშვილი არჩევნების საერთაშორისო გამოძიებაზე“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://publika.ge/ras-erchian-sashinao-rom-iyos-ra-problemaa-papuashvili/

[55] პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადება საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის შესახებ. ამერიკის საელჩოს აქართველოში. ხელმისაწვდომია ბმულზე: პრეზიდენტ ჯო ბაიდენის... - US Embassy Tbilisi, Georgia | Facebook

სუფთად, დემოკრატიულად, სამართლიანად“ და პირობა დადო, რომ „აბსოლუტურად ყველაფერი იქნება ღია, ყველას შეუძლია, ჩაიხედოს ყველაფერში“[56].

მნიშვნელოვანია, რომ არჩევნების შედეგებისა და შესაძლო დარღვევების შესახებ სამოქალაქო საზოგადოებისა და სადამკვირვებლო ჯგუფების მიერ გაკეთებული შეფასებების შემდეგ, შვედეთმა საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის გაწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო[57]. ურთიერთობების გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო კანადის მთავრობამაც[58]. არჩევნებზე დაფიქსირებულ დარღვევებზე საერთო განცხადება გაავრცელა ევროკავშირის 15 სახელმწიფოს საგარეო და ევროპული საქმეების მინისტრებმა, რომელთა განცხადებითაც, საარჩევნო წესების დარღვევა შეუთავსებელია იმ სტანდარტებთან, რომელიც ევროკავშირის კანდიდატ ქვეყანას მოეთხოვება[59].

საგულისხმოა, რომ არჩევნების შედეგები სანდო არ არის ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანახმად, დაირღვა არჩევნებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა - ფარულობა, რის გამოც ორგანიზაცია 2263 საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმებასა და არჩევნების თავიდან ჩატარებას მოითხოვს. ორგანიზაციის დირექტორის, ნონა ქურდოვანიძის თანახმად, „ქართული ოცნების” მიერ საარჩევნო უბნებზე დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში უყურებდა რეგისტრატორის მაგიდებს და ვერიფიკაციის აპარატებს, ზოგ შემთხვევაში კი - ხმის მიცემის კაბინებს და ძირითად საარჩევნო ყუთს. იმ უბნებზე, სადაც განთავსებული იყო ხმის მიცემისა და დათვლისთვის საჭირო ელექტრონული მოწყობილობები, ბიულეტენების ხარისხი ვერ უზრუნველყოფდა იმას, რომ მის უკანა მხარეს არ დაეტოვებინა გაფერადებული წრის კვალი, რაც ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედების მაღალ რისკებს ადასტურებს და არღვევს ხმის ფარულობასა და ნების თავისუფალ გამოვლენის პრინციპებს[60]. ორგანიზაციამ შესაბამისი საჩივრებით სასამართლოს მიმართა. სასამართლო განხილვები ნოემბრის თვის განმავლობაში გაიმართება.

არჩევნებისას ხმის მიცემის ფარულობის „ხშირი კომპრომეტირების“ ფაქტების შესახებ ამახვილებს ყურადღებას ეუთოს (OSCE) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის

---

[56] Civil.ge. 2024. „ირაკლი კობახიძე არჩევნების გამოძიების შესახებ: ‘ყველას შეუძლია, ჩაიხედოს ყველაფერში’“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://civil.ge/ka/archives/632797

[57] რადიო თავისუფლება. 2024. „შვედეთის მთავრობა წყვეტს საქართველოსთან თანამშრომლობას“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/33176765.html

[58] კანადის მთავრობა. 2024. „Statement on Georgia parliamentary election“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.canada.ca/en/global-affairs/news/2024/10/statement-on-georgia-parliamentary-election.html?fbclid=IwY2xjawGM4zVleHRuA2FlbQIxMAABHVejrPgcxli7vlEjUb1AwvA3ovnDr7WNOAYAYA1dQ8jW9cReUiDpEeo0og_aem_1-MzcNsJifRDRimwS7cqdw

[59] ევროკავშირის ქვეყნების საგარეო და ევროპული საქმეების მინისტრების განცხადება. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.auswaertiges-amt.de/en/newsroom/news/elections-georgia/2681910?fbclid=IwY2xjawGOzmdleHRuA2FlbQIxMAABHfdoOTlnCR6b1mpWBkwOnzf294YcmRpcBgjjuZhRhBP3MrR96Nu2DmCgCA_aem_Nj8YpRsDRjLbtevLPNJWgg

[60] რადიო თავისუფლება. 2024. „საია იმ საარჩევნო უბნების შედეგების ბათილად ცნობას ითხოვს, სადაც არჩევნები ელექტრონულად ჩატარდა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/33179569.html

უფლებების ოფისის (ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE), ნატოს საპარლამენტო ასამბლეისა (NATO PA) და ევროპარლამენტის (EP) ერთობლივმა სადამკვირვებლო მისიაც.

„ხმის მიცემის ფარულობა პოტენციურად კომპრომეტირებული იყო დაკვირვების 24 პროცენტში საარჩევნო ბიულეტინების ხმების დამთვლელ აპარატში ბიულეტენის შეცურების ან საარჩევნო უბნის დარბაზის არასათანადო დაგეგმარების გამო. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ხშირად მიუთითებდნენ ამომრჩევლებზე ზეწოლისა, საარჩევნო უბნებზე მოქალაქეთა სიჭარბისა და ასევე პროცედურების არათანმიმდევრული დაცვის ფაქტებზე. ბევრ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ხმის მიცემის პროცესის ვიდეოგადაღებას ახორციელებდნენ ან აღრიცხავდნენ ამომრჩევლებს, რაც შეშფოთებას ზრდის სავარაუდო დაშინების თაობაზე“, - წერია მისიის ანგარიშში[61].

არჩევნების პროცესში დაფიქსირებული დარღვევები, რომლებმაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინა უშუალოდ არჩევნების შედეგებზე, კიდევ უფრო მეტად ზრდის პოლიტიკურ დაძაბულობას ქვეყანაში. გარდა ამისა, საქართველოს ევროპელი და ამერიკელ პარტნიორების მხრიდან არჩევნების შედეგებისადმი შესაძლო უნდობლობა ზრდის საქართველოს იზოლაციის საფრთხეს. თავის მხრივ, იზოლაციის საფრთხე შესაძლოა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდეს, როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე ეკონომიკური მიზეზების გამოც. შექმნილი ვითარება, მათ შორის, აუარესებს ქვეყანაში არსებულ სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოს და ამცირებს სამუშაო სივრცეს.

ჩხრეკა დეზინფორმაციის მკვლევრების სახლებში

საპარლამენტო არჩევნებამდე ორი დღით ადრე, 24 ოქტომბრის დილის 8 საათისთვის, ფინანსურმა პოლიციამ სასამართლო განჩინების საფუძველზე გაჩხრიკა ამერიკული კვლევითი ორგანიზაციის, „ატლანტიკური საბჭოს“ ქართველი თანამშრომლების, სოფო გელავას და ეთო ბუზიაშვილის სახლები[62].

მედიის ცნობით, ჩხრეკის შემდეგ წაიღეს მობილური ტელეფონები, კომპიუტერული ტექნიკა და მეხსიერების ბარათები. ამავე დღეს, ჩხრეკა ჩატარდა რამდენიმე სხვა სახლშიც, თბილისსა და ქუთაისში. ცნობილია, რომ ფინანსური პოლიცია შესული იყო ასევე ბიზნესმენ ვალერი ტყეშელაშვილის სახლში, ქუთაისში, და ძმების, ონისე და სანდრო ცხადაძეების საცხოვრებელ ბინაში, თბილისში. ჩხრეკა ჩატარდა ამერიკული კომპანია Concentrix-შიც, თუმცა კავშირი კომპანიასა და ატლანტიკური საბჭოს თანამშრომლებს შორის, ჯერ კიდევ ბუნდოვანია.

---

[61] საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია. საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2024 წლის 26 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.osce.org/files/f/documents/8/0/579382_0.pdf

[62] რადიო თავისუფლება. 2024. წინასაარჩევნო ჩხრეკა დეზინფორმაციის მკვლევრების სახლებსა და ამერიკული კომპანიის თბილისის ოფისში - რა ვიცით?. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/33172213.html

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 24 ოქტომბერს გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც, მათ თაღლითობაში ჩართულ სამ სავარაუდო ე. წ. "ქოლცენტრში" ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები. მომხდართან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ იგი დარწმუნებული იყო, რომ გაირკვეოდა, რომ Concentrix-ის საქმიანობა ლეგალური იყო[63], თუმცა, პრემიერ მინისტრის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, შესაძლოა, „გამოძიების შედეგები ძალიან საინტერესო ყოფილიყო".

მედიასთან გაკეთებულ კომენტარში, ამერიკული კვლევითი ორგანიზაციის ორივე თანამშრომელმა, სოფო გელავამ და ეთო ბუზიაშვილმაც განაცხადა, რომ მათ არაფერი აკავშირებთ კომპანია Concentrix-თან. არცერთმა მათგანმა იცის, ვინ არის სხვა ორი კომპანია, სადაც ასევე იყვნენ შესული ფინანსური პოლიციის გამომძიებლები.

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნულ ჩხრეკებს „ტიპური ფსიქოლოგიური ზეწოლა და ინტიმიდაცია" უწოდა და არჩევნებს დაუკავშირა[64]. ამ ფაქტს გამოეხმაურა ამერიკელი სენატორი ჯინ შაჰინიც, რომლის განცხადებითაც, აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია შეშფოთება საქართველოს შესაძლებლობაზე, „ჩაატაროს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები[65]".

ადამიანის უფლებების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანახმად, ჩხრეკის დროს დაფიქსირდა ორი პროცედურული დარღვევა, მათ შორის:

- როგორც საჯარო წყაროებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული ჩხრეკა-ამოღების განჩინებები არ შეიცავდა ძებნის საგანს, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევაა.
- ჩხრეკა-ამოღებისას ადვოკატზე წვდომისა და ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების უფლების შეზღუდვა;

ორგანიზაციის განცხადების თანახმად, რადგან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ადრესატების ნაწილის საქმიანობა, საჯაროდ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, უკავშირდება რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლას; და მათი საჯარო აქტივობებით დასტურდება არასახელისუფლებო სამოქალაქო პოზიციების ქონა, საია 2024 წლის

---

[63] BM.ge. 2024. „დარწმუნებული ვარ, გაირკვევა, რომ Concentrix-ის საქმიანობა ლეგალურია - მინისტრის პირველი კომენტარი". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bm.ge/news/dartsmunebuli-var-gairkveva-rom-concentrix-is-saqmianoba-legaluria-ministris-pirveli-komentari

[64] რადიო თავისუფლება. 2024. „"ტიპური ფსიქოლოგიური ზეწოლაა" - პრეზიდენტი „ატლანტიკური საბჭოს" თანამშრომლების სახლების ჩხრეკაზე". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/33172185.html

[65] Publika.ge. 2024. „შაჰინის თქმით, ჩხრეკებზე ცნობები იწვევს შეშფოთებას საქართველოს შესაძლებლობაზე ჩაატაროს თავისუფალი არჩევნები". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://publika.ge/shahinis-tqmit-chkhrekebze-cnobebi-iwvevs-sheshfotebas-saqartvelos-shesadzleblobaze-chaataros-tavisufali-archevnebi/

საპარლამენტო არჩევნების კონტექსტშიც აქტიურად დააკვირდება აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებსა და მათთან დაკავშირებულ მოვლენებს.[66]

არჩევნებიდან ორი დღის შემდეგ, 28 ოქტომბერს, ბუზიაშვილსა და გელავას პირად საბანკო ანგარიშებზე წვდომა შეეზღუდათ[67]. ჰელსინკის კომისიამ „ატლანტიკური საბჭოს“ თანამშრომლებისთვის საბანკო ანგარიშებზე წვდომის შეზღუდვა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასა და იმ ამერიკულ ორგანიზაციაზე თავდასხმად შეაფასა, რომელიც მათ ასაქმებს[68].

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების სახლებში ჩატარებული ჩხრეკის ოპერაციები აჩენს განცდას, რომ აღნიშნული ქმედება სახელმწიფო უწყებების მხრიდან არის პოლიტიკურად მოტივირებული და მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დაშინებას.

---

[66] საია. 2024. „საიას შეფასება 2024 წლის 24 ოქტომბერის დილის საათებში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ რამდენიმე პირის საცხოვრებელ სახლსა და საოფისე...“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.gyla.ge/post/24-octomberi-chkhreka-amogeba-gancxadeba

[67] რადიო თავისუფლება. „საბანკო ანგარიშებზე წვდომა შეეზღუდათ "ატლანტიკური საბჭოს" მკვლევრებს“, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/33178123.html

[68] Helsinki Commission. 2024. “Chairman Wilson Expresses Condemns Georgian Government Actions Against Eto Buziashvili and Sopo Gelava” ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.csce.gov/press-releases/chairman-wilson-expresses-condemns-georgian-government-freezing-bank-accounts-of-eto-buziashvili-and-sopo-gelava/